



საქართველოს



რესპუბლიკა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე აკადემიის საპატიო პრეზიდენტია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ, რომელიც შედგა ამა წლის 26 ივნისს, აკადემიის საპატიო პრეზიდენტად, ისე როგორც თავის დროზე ჩვენი დიდი ნიკო მუსხელიშვილი, აირჩია მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის, ამერიკისა და ევროპის ნაციონალური აკადემიების წევრი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.

